შპს „ბი ემ სი გორგია“

შპს „ბი ემ სი გორგიაში“ ტენდერის წესით შესყიდვების განხორციელების შესახებ დირექტორის მინდობილი პირის ბრძანება № 0419/2 შექმნილი მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის

სხდომის

ოქმი N1

კერძო საკუთრების იჯარა ან ლიზინგი CPV- 70200000 ფორვარდული აუქციონი

ქ. თბილისი „26“ „ოქტომბერი“ 2019 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზვიად საყვარელიძე** - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, შესყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
2. **ქეთავან ლომაძე** - სატენდერო კომისიის წევრი, იურისტი;
3. **ანი ხვიჩავა** - სატენდერო კომისიის წევრი, ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი;
4. **ზურაბ ტაბატაძე** - სატენდერო კომისიის წევრი, ფინანსური მენეჯერის ასისტენტი;
5. **რუსუდან მარგველაშვილი** - ადმინისტრაციული ასისტენტი, სხდომის კონსულტანტი.
6. **ნანი ჯაფარიძე** - ადმინისტრაციული ასისტენტი, სხდომის კონსულტანტი.

კომისიის აპარატის წევრები:

1. **გიორგი ჯიმშიტაშვილი** - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, შესყიდვების მენეჯერი
2. **გიორგი გვალია** - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, შესყიდვების მენეჯერი

სხდომას თავმჯომარეობდა **ზვიად საყვარელიძე** - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, შესყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია

სხდომის ჩატარების ადგილი და დრო: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 140. 14:00 სთ.

დღის წესრიგი:

შპს „ბი ემ სი გორგიას“ მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის მიერ, დიდუბის ფილიალში (ქ. თბილისი. წერეთლის გამზ. N140-ში) იჯარით გასაცემი გარე საბანერე ლოკაციების (CPV-

70200000 - კერძო საკუთრების იჯარა ან ლიზინგი) ფორვარდული აუქციონის განცხადებისა და დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს შესთავაზა, რომ შესყიდვის სპეციფიურობიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე გამოყენებულ იქნას შპს „ბი ემ სი გორგიაში“ ტენდერის წესით შესყიდვების განხორციელების შესახებ დირექტორის მინდობილი პირის ბრძანება № 0419/2-ის მე-6 მუხლი და ამ კონკრეტულ ფორვარდულ აუქციონში, კონსულტანტის სახით, შერჩევის პროცესში მონაწილე პირთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით (სატენდერო კომისიის წევრის უფლებამოსილებით) მოწვეულ იქნენ შპს „ბი ემ სი გორგიას“ შესყიდვების დეპარტამენტის ადმინისტრაციული ასისტენტები, რუსუდან მარგველაშვილი და ნანი ჯაფარიძე.
სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დიდუბის ფილიალში სხვადასხვა სახის გადაადგილების, პროცედურების განხორციელებისა და ახალი სტანდარტის შექმნის შედეგად დამატებით წარმოიქმნა იჯარით გასაცემი გარე საბანერე ადგილები, დამსწრე კომისიის წევრებს მიაწოდა ნახაზი (41 ლოტად დაყოფილი საბანერე ადგილების ფოტომონტაჟი) და აღნიშნა, რომ ორგანიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე ორგანიზაციათან დაკავშირებულ ნებისმიერ პირს, პარტნიორ ორგანიზაციას, თავისუფალი კონკურენციის ფარგლებში უნდა მიეცეს საშუალება ფორვარდული აუქციონის პრინციპით სასურველ საბანერე ლოკაციაზე (ლოტზე) ან ერთდროულად მისთვის სასურველი ნებისმიერი ოდენობით საბანერე ლოკაციებზე (ლოტებზე) განათავსოს სასურველი რეკლამა. პარტნიორ ორგანიზაციას შეუძლია გამოხატოს ინტერესი ერთ ან რამოდენიმე საბანერე ლოკაციაზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე კომისიის წევრებს წარუდგინა ფორვარდული აუქციონის განცხადების და დოკუმენტაციის პროექტები, რომლის მიხედვითაც 3 ვარსკვლავიან 1მ^2 იჯარით გადასაცემი საბანერე ლოკაციის მინიმალურ ოდენობად თვეში განსაზღვრულია 25 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ხოლო ფასის ზრდის ბიჯი შეადგენს 2,5 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, 2 ვარსკვლავიან 1მ2 იჯარით გადასაცემი საბანერე ლოკაციის მინიმალურ ოდენობად თვეში განსაზღვრულია 20 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ხოლო ფასის ზრდის ბიჯი შეადგენს 2 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, 1 ვარსკვლავიან 1მ2 იჯარით გადასაცემი საბანერე ლოკაციის მინიმალურ ოდენობად თვეში განსაზღვრულია 15 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ხოლო ფასის ზრდის ბიჯი შეადგენს 1,5 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

აზრი გამოთქვეს:

1. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ძირითადად ფასები შეესაბამება დღევანდელ რეალობას და აღნიშნული ფასები მიღებულ იქნას იჯარით გასაცემი საბანერე ლოკაციების მინიმალურ ღირებულებად ზემოაღნიშნულ ფასის ზრდის ბიჯთან ერთად.
2. კომისიის წევრებმა დამატებით აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი ფორვარდული აუქციონის განცხადება და დოკუმენტაცია შეესაბამება ორგანიზაციის ინტერესებს, პოლიტიკასა და სტანდარტებს და მიზანშეწონილია კომისიის აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი განცხადების და დოკუმენტაციის გამოქვეყნება ვებ-გვერდის tenders.ge-ის მეშვეობით.

კენჭისყრის შედეგები:

სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა კენჭისყრის დროს მხარი დაუჭირა წარდგენილი ფორვარდული აუქციონის განცხადების და დოკუმენტაციის პროექტებს.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ფორვარდული აუქციონის განცხადება და დოკუმენტაცია წარმოდგენილი სახით.
2. სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციის tenders.ge ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.
3. შესყიდვების დეპარტამენტის ადმინისტრაციულ ასისტენტებს, რუსუდან მარგველაშვილს და ნანი ჯაფარიძეს დაევალოთ უზრუნველყონ შპს „ბი ემ სი გორგიას" პარტნიორი ორგანიზაციების ინფორმირება ფორვარდული აუქციონის გამოცხადების შესახებ და უზრუნველყონ პარტნიორი ორგანიზაციების ყოველმხრივი დახმარება ზემოაღნიშნულ ფორვარდულ აუქციონში მონაწილეობისთვის.

სხდომის თავმჯდომარე	ზ. საყვარელიძე	ზ. საყვარელიძე
კომისიის წევრები		ქ. ლომაძე
		ა. ხვიჩავა
		ზ. ტაბატაძე
		რ. მარგველაშვილი
		ნ. ჯაფარიძე
კომისიის აპარატის წევრები		გ. გვალია
		გ. ჯიმშიტაშვილი